სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების განვითარების და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების

ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება

მოკლე რეზიუმე

რეგიონული განვითარების მესამე პროექტი

თებერვალი 10, 2015

სამცხე–ჯავახეთისა და მცეთა–მთიანეთის რეგიონების და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (SECHSA) განხორციელდა მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული რეგიონული განვითარების პროექტის (RDP III) მომზადების ფარგლებში. აღნიშნული პროექტის ძირითადი მიზანია ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესება, სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონის ტურისტული ეკონომიკის განვითარების მიზნით. პროექტის განხორციელება უზრუნველყოფს საჯარო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობას, გაუმჯობესებას, ხარისხსა და საიმედოობას; რეგიონში გაზრდის კერძო სექტორის ინვესტიციებს და გაზრდის ტურიზმის სფეროში მომუშავე კერძო კომპანიების რაოდენობას, განახლებულ კულტურული მემკვიდრეობის ტერიტორიებსა და ქალაქებში. პროექტი ხელს უწყობს სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონების რეგიონული განვითარებისა და ტურისტული განვითარების სტატეგიების ხორცშესხმას.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების სტრატეგიული შეფასება (SECHSA) მიზნად ისახავს რეგიონების განვითარების სტრატეგიის, ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და რეგიონული განვითარების მე–3 პროექტის განხორციელების დროს კუმულატიური, პირდაპირი და ირიბი ზემოქმედებების ანალიზს მოცემულ ორ რეგიონში. ასევე უზრუნველყოფს რეკომენდაციების მომზადებას რეგიონებში ტურიზმის განვითარების სტრატეგიის დასრულების კუთხით და განსაზღვრავს RDP III–ის ინვესტიციების გაფართოების პოზიტიური ზემოქმედებებს, ასევე მოსალოდნელი რისკების შემცირებას.

1. მოკლე ინფორმაცია სამიზნე რეგიონებზე

სამცხე-ჯავახეთი

სამცხე-ჯავახეთი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს. მასში შედის სამი ისტორიული მხარე – სამცხე, ჯავახეთი და თორი. რეგიონი აჭარას, გურიას, იმერეთს, შიდა ქართლს, ქვემო ქართლს, სომხეთსა და თურქეთს ესაზღვრება. რეგიონის ტერიტორია 6421 კვადრატული კილომეტრია. მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე 32 კაცს შეადგენს. რეგიონში ექვსი თვითმმართველი ერთეულია – ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ბორჯომის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტები. რეგიონული ცენტრი ქალაქი ახალციხეა, სადაც განთავსებულია სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია. მხარეში 353 დასახლებული პუნქტია, მათ შორის ხუთი ქალაქია: ახალქალაქი, ახალციხე, ბორჯომი, ვალე, ნინოწმინდა; შვიდი დაბაა: ბაკურიანი, ბაკურიანის ანდეზიტი, წაღვერი, ახალდაბა, ადიგენი, აბასთუმანი, ასპინძა; 254 - სოფელია.

რეგიონს გააჩნია ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მას ესაზღვრება თურქეთი და სომხეთი, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებისათვის.

რეგიონის ტერიტორიაზე გადის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, ტრანსკასპიური გაზსადენი, მარაბდა-ახალქალაქი-ყარსის რკინიგზა.

2013 წლის იანვრის მდგომარეობით სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა 213.5 ათას ადამიანს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 5%-ზე ოდნავ ნაკლებია. ბოლო ათი წლის მაჩვენებლების მიხედვით შეინიშნება ზრდის ტენდენცია. რეგიონის მოსახლეობის 31% (66.5 ათასი ადამიანი) ქალაქებში ცხოვრობს, ხოლო 69% (147 ათასი ადამიანი) – სოფლებში. მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი მაცხოვრებელი რეგისტრირებულია ახალქალაქისა (65ათასი) და ახალციხის (48.4 ათასი) მუნიციპალიტეტებში.

მცხეთა-მთიანეთი

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში. მისი ტერიტორიის საერთო ფართობია – 5,8 ათასი კვ.კმ. (საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 8,3%), ხოლო მოსახლეობა (2014 წელი) 108 800* (*-აქ და შემდეგ ტექსტში ყველგან, თუ არ არის სპეციალური მითითება, გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები) კაცს (საქართველოს მოსახლეობის 2.6%); მოსახლეობის სიმჭიდროვე – 1 კვ. კმ-ზე 18,6 კაცი.

რეგიონი მოიცავს: დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებს, მისი ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი მცხეთა. მანძილი ადმინისტრაციულ ცენტრსა და საქართველოს დედაქალაქს – თბილისს შორის 24 კილომეტრია.

მცხეთა-მთიანეთს დასავლეთიდან ესაზღვრება შიდა ქართლის, აღმოსავლეთიდან კახეთის რეგიონები, სამხრეთიდან ქ. თბილისი და ქვემო ქართლის რეგიონი, ხოლო ჩრდილოეთიდან რუსეთის ფედერაცია (ჩრდ. ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი).

რეგიონში არის ორი ქალაქი (მცხეთა, დუშეთი), ხუთი დაბა (ჟინვალი, ფასანაური, თიანეთი, სიონი, სტეფანწმინდა) და 483 სოფელი.

რეგიონი სერიოზული სტრატეგიული მდებარეობით გამოირჩევა (დედაქალაქთან საერთო საზღვარი, საზღვარი რუსეთის ფედერაციასთან) და შესაბამისად განვითარებული ინფრასტრუქტურის (საქართველოს სამხედრო გზა, ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტი) გამო, როგორც ისტორიულ კონტექსტში, ასევე დღესაც უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

აღნიშნული პოზიცია კიდევ უფრო გაძლიერდება ამჟამად მშენებარე თიანეთი-ჟინვალის მაგისტრალით, რომელიც საგრძნობლად დაახლოვებს რუსეთის ბაზართან ისეთ ტერიტორიებს, როგორიცაა კახეთი (თიანეთი-ახმეტა-თელავი) და ყვარელი-ლაგოდეხის გავლით - აზერბაიჯანი.

აღსანიშნავია ისიც, რომ რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი (ქ. მცხეთა) საქართველოს უძველესი დედაქალაქი და დღევანდელი სულიერი და კულტურული ცენტრია.

2. სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა მთიანეთის რეგიონების განვითარების სტრატეგიები

სამცხე–ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2014–2021) და მცხეთა–მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგია (2010–2017) მომზადებულია საქართველოს რეგიონული განვითარების სტრატეგიისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგიის (2015 – 2017) შესაბამისად. სამცხე–ჯავახეთის რეგიონის განვითარების სტრატეგის შემუშავება დასრულებულია და დამტკიცდა 2013 წელს. მცხეთა–მთიანეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიის (2014–2021) სამუშაო ვერსია მომზადებულია და უახლოეს მომავალში იგეგმება მისი დასრულება და დამტკიცება.

ორივე რეგიონის სტრატეგიული განვითარების გეგმას გააჩნია პრიორიტეტები და იგეგმება შედეგი სექტორების განვითარება:

- სოფლის მეურნეობა (დაინერგოს თანამედროვე ტექნოლოგიები და მცენარეების ახალი სახეობები, სასოფლო–სამეურნეო კულტურების ეფექტური დამუშავებისთვის; დაინერგოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობისთვის ეფექტური ტექნოლოგიები; აშენდეს პროდუქტების შენახვისა და საკვების გადამამუშავებელი საშუალებები და სხვა.);
- გაიზარდოს ენერგოგენერაციის მოცულობები მცირე და დიდი ჰიდროელექტრო სადგურების განვითარების მეშვეობით; გაიზარდოს რეგიონში არსებული ალტერნატიული ენერგიის წყაროების გამოყენება – ქარი, მზის ენერგია);
- ინფრასტრუქტურა: გაუმჯობესდეს რეგიონული და ადგილობრივი გზები, წყალმომარაგება და კანალიზაცია; აშენდეს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობები, ნარჩენების მართვის საშუალებები; გაიზარდოს ელექტოენერგიით მომარაგების და გაზმომარაგების ქსელებითა და საკომუნიკაციო სისტემებით მოცვის გეოგრაფიული არეალი და გაუმჯობესდეს შესაბამისი მომსახურებით მოსახლეობის უზრუნველყოფა);
- განხორციელდეს ბუნებრივი რესურსების შესწავლა და ინვენტარიზაცია და ჩამოყალიბებულ იქნას რესურსების მდგრადი მართვის სისტემა (ორივე რეგიონისთვის დამახასიათებელი ბუნებრივი რესურსები მოიცავს: მტკნარ და მინერალურ წყლებს, მერქნული და ტყის რესურსებს, ინერტულ სამშენებლო მასალებს; ასევე გარკვეული რაოდენობის ქვანახშირი წარმოდგენილია სამცხე–ჯავახეთში და ასევე გზად ნავთობის პოტენციური საბადოები);
- შექმნილ იქნას ხელშემწყობი რეჟიმი მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისათვის ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტურიზმი, სოფლის მეურნეობა, საკვების დამუშავება, სამშენებლო მასალების წარმოება, ალტერნატიული ენერგია, მშენებლობა და მომსახურება;
- განვითარდეს ტრანსსასაზღვრო თანამშრომობა ვაჭრობის, ტურიზმის, გარემოს დაცვის და ენერგორგეტიკის სფეროებში;

- გარემოსდაცვითი პროგრამები: გაუმჯობესდეს დაცული ტერიტორიების და ტყის რესურსების მართვის სისტემები; გაძლიერდეს ბუნებრივი კატასტროფული მოვლენების პრევენციის და მართვის ორგანოები და განვითარდეს გარემოს ხარისხის მონიტორინგის რეგიონული სისტემები

3. ტურიზმის განვითარების სტრატეგიები სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა–მთიანეთისთვის

სამცხე–ჯავახეთისა და მცხეთა–მთიანეთის რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიების მომზადდა 2014 წლის ოქტომბერს. სტრატეგიების მიზანია მოცემული ორი რეგიონის, როგორც ტურისტული მიმართულების კონკურენტუნარიანობის ანალიზი, დამატებითი ღირებულების შექმნის ჯაჭვის პრინციპის გამოყენებით. ორივე სტრატეგია ფარავს პერიოდს 2015წ-დან 2020 წლამდე. დოკუმენტების საბოლოო ვერსიები ჯერ არ არის დამტკიცებული ტურიზმის ეროვნული სააგენტოს და მსოფლიო ბანკის მიერ, მაგრამ სავარაუდოდ ორივე სტრატეგიის დამტკიცება უნდა მოხდეს 2015 წლის მარტში/თებერვალში. ორივე სტრატეგია ფარავს პერიოდს 2015 დან 2020 წლამდე. ხსენებული სტრატეგიების საბოლოო ვერსიები ჯერ არ არის დამტკიცებული ტურიზმის ეროვნული სააგენტოსა და მსოფლიო ბანკის მიერ. სავარაუდოდ, დოკუმენტების დამტკიცება მოხდება 2015 წლის მარტ/აპრილში. ზემოთ აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით Solimar International-მა უზრუნველყო ძირითადი დაინტერესებული მხარეების მხარდაჭერა ხედვის ჩამოყალიბებაში, ასევე ფასეულობათა პროპორციების, პროგნოზისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. ორივე პროექტისთვის რეგიონული ტურიზმის განვითარების სტრატეგიებისთვის რეკომენდირებულია ფასეულებების გაზრდა შემდეგი სამი ჯგუფისთვის: 1. კურორტების განვითარების კლასტერი; 2. კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი. 3. ბუნების და სათავგადასავლო კლასტერი.

<u>კურორტების კლასტერი:</u>

სამცხე-ჯავახეთი:

(ა) ტრადიციული მეღვინეობის და გასტრონომიის იდენტიფიკაცია, ღვინისა და საკვების სადეგუსტაციო ობიექტების შექმნა, სავაჭრო ადგილების მოწყობა;

(ბ) განვითარდეს ახალი საბაგიროები, ხელოვნური თოვლის ობიექტები და ზამთრის ახალი სათავგადასავლო მომსახურება – ტურები ბურანებით, სათხილამურო ტურები ბაკურიანში;

(გ) განვითარდეს რეკრეაციული ზონა ბაკურიანში და გაუმჯობესდეს ბორჯომის პარკის ობიექტები (სპა, დასვენების და გასართობი ობიექტები);

(დ) გაფართოვდეს გარე აქტივობები ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე და გაუმჯობესდეს მომსახურეობა;

(ე) განვითარდეს საზამთრო და საზაფხულო ღონისძიებები სპორტსა და სატავგადასავლო ტურიზმზე ფოკუსირებით.

მცხეთა-მთიანეთი:

(ა) გამოყენებულ იქნას სამთო გიდების ეროვნული სტანდარტები პროფესიული მომზადების, წვრთნისა და სერტიფიცირების საერთაშორისო (UIGM) სტანდარტების შესაბამისად;

(ბ) მნიშვნელოვანია მთის ქოხების, თავშესაფრების და ბილიკების ქსელის შემდგომი განვითარება, რათა გაუმჯობესდეს ღამისთევის, ხელმისაწვდომობის, უსაფრთხოების პოტენციალი;

(გ) გაერთიანდეს და შესწავლილ იქნას დანიშნულების ადგილების მართვა გუდაურში (ზამთარში) და ყაზბეგში (ზაფხულში);

(დ) ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი, მუზეუმის სავაჭრო ობიექტები და საინფორმაციო ცენტრები უზრუნველყოფილ იქნას საზოგადოებრივი საპირფარეშოებითა და ტრანსპორტით, კაფეებით და საინფორმაციო ცენტრებით.

<u>**კულტურული მემკვიდრეობის კლასტერი:**</u>

სამცხე-ჯავახეთი:

(ა) საჭიროა ინტეგრირებული მართვა, რომელიც რეგულირდება "კულტურული მემკვიდრეობის მართვის გეგმით" (შემუშავებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ) და ორმხრივად შეთანხმებული საეკლესიო ხელისუფლებასთან (როდესაც ობიექტი საეკლესიო ქონებას მიეკუთვნება);

(ბ) ინვესტიციებია საჭირო ტურიზმის სექტორში, მათ შორის, რესტორნების, ბარების, ღვინის სარდაფების, მუზეუმების, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრების, სახელოსნო მაღაზიების და ბაზრების, და ბოლოს, ტურისტებისთვის საცხოვრებელის შესაქმნელად;

(გ) სწავლების უზრუნველყოფა სტუმრის მიღების ძირითად უნარებში, ენაში, მარკეტინგსა და მემკვიდრეობის ობიექტის მართვის სფეროში ადგილობრივი სასწავლო პროვაიდერების სქემით, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობით;

(დ) მონასტრების სტუმრობის პროგრამაში მონაწილეობის წახალისება, სტუმართა გამოცდილების გაღრმავების და მომავალი კონფლიქტების რისკის შემცირების მიზნით.

მცხეთა-მთიანეთი:

(ა) ინვესტიციები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან ახლოს მდებარე ტურისტული მომსახურების ობიექტებში, როგორიცაა რესტორნები, ბარები, ღვინის ბარები, ღამის კლუბები, კულტურულ-შემოქმედებითი ცენტრები, სახელოსნო მაღაზიები და ბაზრები, და ტურისტების განთავსება;

(ბ) სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები მემკვიდრეობის ობიექტების გიდების მოსამზადებლად;

(გ) საქმიანობის და ღონისძიებების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნას მართლმადიდებელი ეკლესიის ჩაბმულობა და როლი.

<u>**ბუნებისა და სათავგადასავლო სპორტის კლასტერი:**</u>

სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი:

(ა) გაუმჯობესდეს ეროვნულ პარკებსა და დაცულ ტერიტორიებამდე მისასვლელი;

(ბ) დაცულ ტერიტორიებთან უნდა არსებობდეს ხარისხიანი საცხოვრებელი, განსაკუთრებით პარკის შესასვლელთან მიმდებარე ადგილებში;

(გ) გაუმჯობსდეს სტუმართა მომსახურება დათმობის პოლიტიკის მეშვეობით, რომლის თანახმად ხელისუფლება ააშენებს ობიექტებს და იჯარით შესთავაზებს მათ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ან ნებას დართავს კერძო ინვესტორებმა ააშენონ და გაუწიონ ექსპლუატაცია ობიექტებს პარკის ტერიტორიაზე, რის სანაცვლოდ ისინი გადაიხდიან წლიურ საფასურს და პროცენტულ მოგებას საქმიანობიდან;

(დ) აგრეთვე, უნდა წახალისდეს დაცულ ტერიტორიებსა და გიდებს/კომპანიებს შორის თანამშრომლობა სათავგადასავლო სპორტის სახეობებში (ალპინიზმი, ჯომარდობა, რაფტინგი, და ა.შ.), ისეთი ორგანიზაციების ჩართვით, როგორიცაა ATTA (სათავგადასავლო მოგზაურობის სავაჭრო ასოციაცია).

(ე) ეროვნული პარკების ხელშესაწყობის მიზნით უნდა ეწყობოდეს სპეციალური ღონისძიებები, მაგალითად, სათხილამურო შეჯიბრი ან სათავგადასავლო რბოლა;

(ვ) საჭირო იქნება ჩატარდეს გიდების, სამთო-სამაშველო და სათავგადასავლო სპორტულ დარგებში (მთაზე ცოცვა, ჯომარდობა, კანიონინგი, რაფტინგი) სპეციალიზებული წვრთნა.

ტურის სქემები და მარშრუტები

რეკომენდაციები სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისთვის მოიცავს როგორც თემატური გეგმების და ბილიკების (ღვინის მარშრუტები, მემკვიდრეობაში შესული ლანდშფტი, ისტორიული გზები), ასევე ქვეყნების (საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, თურქეთის რესპუბლიკა) შემაკავშირებელი ტურების, ბილიკების და მარშრუტების განვითარებას.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში კულტურული მემკვიდრეობის კუთხით ერთ-ერთი მთავარი რისკი არის მცხეთის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ერთ-ერთი ძეგლის, სტატუსის გაუქმება. ქალაქი მცხეთა და მისი ისტორიული ძეგლები იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს შევიდა. მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შედის მცხეთის ისტორიული ეკლესიები, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოვლის ტაძარი და სამთავროს მონასტერი. საქართველოს ყოფილი დედაქალაქის, მცხეთის ისტორიული ეკლესიები წარმოადგენენ კავკასიაში შუა საუკუნეების რელიგიური არქიტექტურის გამორჩეულ ნიმუშებს. თუმცა 2004-2009 წლების პერიოდში შეუსაბამო მართვის და უკონტროლო ურბანული განვითარების გამო, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 33-ე სხდომაზე (სევილია, 2009) ზემთხსენებული ძეგლები შეიტანეს საფრთხის ქვეშ მყოფი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

ამ რისკის შემსუბუქების მიზნით და გზების განვითარების შემოთავაზებული გეგმის (RDPIII) ეგიდით, მსოფლიო ბანკს, იუნესკოსა და საქართველოს მთავრობას შორის შეიქმნა ფორმალური პარტნიორობა. გზების განვითარების გეგმის (RDPIII) რესურსებიდან არასამთავრობო საწყისებზე გაწეული ანაზღაურებით, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი (WHC) უზრუნველყოფს საქართველოს ხელისუფლების ორგანოების ტექნიკურ დახმარებას და კონსულტაციებს, რითაც განხორციელდება მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მიღებული მაკორექტირებელი ზომები, რის შედეგადაც მცხეთას ამოიღებენ საფრთხის ქვეშ მყოფი იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიიდან. ეს ტექნიკური დახმარება გულისხმობს საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის განვითარებას, ქალაქი მცხეთის გენერალურ გეგმაზე დაყრდნობით. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის გენერალური გეგმის შემუშავება პროექტის ერთ-ერთი პრიორიტეტია, მთავარი მიზანია დაეხმაროს ხელისუფლებას განავითაროს ტერიტორიული სტრატეგიები, რომლითაც ყურადღება გამახვილდება კულტურული კონვენციების ჩარჩოებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე და ადგილობრივი მოსახლეობის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

იუნესკოს/მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ტექნიკური დახმარება მიმართული იქნება ახალ მიდგომაზე, რომელიც ეფუძნება დიალოგს და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობას, სადაც ტურიზმის დაგეგმვას და მემკვიდრეობის მართვას ხელს უწყობს მსოფლიო მემკვიდრეობა და მდგრადი ტურიზმის პროგრამა. მისი მიზანია დაიცვას გამორჩეული მსოფლიო ღირებულების მქონე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები, ამავდროულად უზრუნველყოს ის, რომ ტურიზმმა სარგებელი მოუტანოს ადგილობრივ

თემებს დაცული ობიექტების მდგრად განვითარებაში ისევე, როგორც ტურისტებს გაუფართოვოს გამოცდილება.

რჩევა უზრუნველყოფილი იქნება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესაბამებამისად, გამოცემულს პერიოდულ ანგარიშგებაში ევროპისთვის, რომელიც მოიცავს კომპონენტებს, დაკავშირებელს პოტენციური ობიექტების იდენტიფიკაციასთან, როგორც ობიექტის წარდგენის აღმავალ პროცესს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, ასევე გააძლიერებს შესაძლებლობებს ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე.

მსოფლიო მემკვიდრეობის მენეჯმენტის განსაკუთრებული ყურადღება ასევე გამოყენებული იქნება, როგორც რეგიონული და ადგილობრივი მშენებლობის მოცულობის გაზრდის სტიმული და გახდება ნაწილი უფრო ფართო ინტეგრირებული დაგეგმვის სტრატეგიისა, რომლითაც ყურადღება გამახვილდება ლანდშაფტურ მართვასა და ურბანულ განვითარებაზე.

იმისთვის, რომ უფრო გაფართოვდეს განვითარების გავლენა, ინსტიტუციური შესაძლებლობების მდგრადობა, იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი გამართავს დამატებით კონსულტაციებს საქართველოს ხელისუფლებისთან, მდგრადი მენეჯმენტის დაგეგმვასა და მდგრადი ტურისტული სტრატეგიის განვითარებაში აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის კორიდორისთვის. ეს დაეხმარება განისაზღვროს ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ტურიზმის სტრატეგიას, შემუშავებულს აბრეშუმის გზის მემკვიდრეობის დერეფნებისთვის, ახდენს რა იმ შესაძლებლობების ოპტიმიზაციას, რომლებსაც იძლევა ტურიზმი აბრეშუმის გზის გასწვრივ განსაკუთრებული მემკვიდრეობის დაცვის პირობებში. არსებობს მნიშვნელოვანი შესაძლებლობები აბრეშუმის გზის დერეფნის გასწვრივ მდებარე დანიშნულების ადგილებისთვის, რათა გაერთიანდეს ძალისხმევა ტრანსნაციონალური ტურიზმის ინიციატივების მშენებლობაში, ხელი შეეწყოს და განვითარდეს საერთო მემკვიდრეობა აბრეშუმის გზის ბრენდის სახელით ერთობლივი მიდგომის საფუძველზე.

რისკები ბუნებრივი და სოციალური გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობისთვის, რომლებიც დაკავშირებულია მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთში რეგიონების განვითარების სტრატეგიისა და ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების განხორციელებასთან.

რეგიონების განვითარების სტრატეგია განსაზღვრავს გარკვეულ რისკებს, დაკავშირებულს ამ სტრატეგიაში დასახული მიზნების მისაღწევად მეოთხე პუნქტში. აგროქიმიკატების გადაჭარბებული გამოყენება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს პროდუქციის ხარისხზე, აგრეთვე პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენს დაბინძურებული გარემო, რაც უკავშირდება სოფლის მეურნეობის წარმადობის ზრდისკენ სწრაფვას. რეგიონების განვითარების სტრატეგია აღიარებს პრობლემებს, დაკავშირებულს საძოვრების არარაციონალურ მართვასთან. მესაქონლეობის განითარებამ შეიძლება კიდევ უფრო

შეამციროს საძოვრების პროდუქტიულობა და გაამწვავოს ეროზია. მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი მდიდარია ტყის რესურსებით და დადგენილი სტრატეგიული მიზანია გაიზარდოს შემოსავლები მათი გამოყენებიდან, თუმცა მნიშვნელოვანია რისკები, დაკავშირებული შეშის შეგროვებასთან. რეგიონების განვითარების სტრატეგია ასევე მოიცავს საკითხებს სამრეწველო ობიექტების ნარჩენების და დაბინძურების შესახებ, აღნიშნავს, რომ საწარმოს ზომა/მოცულობა და მისგან მომავალი ეკოლოგიური ზიანი არ არის აუცილებლად პროპორციული, რადგან უფრო დიდი საწარმოები იმყოფებიან უფრო მკაცრი კონტროლის ქვეშ ინსპექციის ორგანოების მხრიდან და ინვესტიციებს დებენ უფრო მოწინავე ტექნოლოგიებში, ხოლო მცირე და საშუალო ბიზნესის ზედამხედველობა არის ნაკლებად მკაცრი და ტექნოლოგიები ნაკლებად დახვეწილი. ამრიგად, მცირე და საშუალო ბიზნესი დაბალი რისკის განსაზღვრაში არ ჯდება და მისი ზემოქმედება გარემოზე უნდა გადამოწმდეს. და ბოლოს, რეგიონების განვითარების სტრატეგიამ უნდა გაითვალისწინოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მიწის გამოყენებასთან, რაც გამოიწვევს ეკონომიკურ ზრდას. მიწას, აღებულს და მორგებულს ჰესების ექსპლუატაციისთვის, განსაკუთრებით, სადაც საჭიროა წყალსაცავების მშენებლობა, გააჩნია რთული გარემოსდაცვითი და სოციალური შედეგები. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა არის გასაღები რეგიონული განვითარებისა, ამავდროულად მოშორებულ ადგილებში გაუმჯობესებული მიმოსვლა გამოიწვევს იმ ეკოსისტემების და ლანდშაფტების ტრანსფორმაციას, რომლებიც დღემდე გადაურჩნენ ანთროპოგენურ ზემოქმედებას.

რეგიონების განვითარების სტრატეგია არ განიხილავს სოციალურ საკითხებს, რომლებიც შეიძლება დადგეს რეგიონული განვითარების გზაზე, გარდა იმისა, რომ რეგიონული განვითარების სტრატეგია მცხეთა-მთიანეთისთვის განსაზღვრავს მოშორებული მთიანი რეგიონებიდან მიგრაციას, როგორც საკითხს რეგიონისთვის და განიხილავს მისი გადაწყვეტის გზებს. ფიზიკური კულტურული მემკვიდრეობის რისკები არ არის განსაზღვრული.

ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგია მოკლედ მიმოიხილავს ტურიზმის განვითარების გარემოსდაცვით და სოციალურ გავლენას. აღნიშნავს რა მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის კონსერვაციას, როგორც კულტურული ტურიზმის განუყოფელ ნაწილს, ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგია აკეთებს განცხადებას ძეგლების აღდგენის ადექვატური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობის შესახებ მათი ისტორიული მნიშვნელობის შეინარჩუნის მიზნით.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე სტრატეგიული ზემოქმედების შეფასებამ დაადასტურა შესაბამისობა რისკებისა, განსაზღვრული რეგიონების განვითარების სტრატეგიებსა და ტურიზმის რეგიონულ განვითარების სტრატეგიებში ამ რისკების ღრმა ანალიზის წარდგენით, და ხაზი გაუსვა დამატებით მგრძნობელობას, რაც უნდა გავითვალისწინოთ ამ სტრატეგიების გამოყენებისას სამიზნე რეგიონებში.

A. ბუნებრივი გარემო

<u>სასოფლო–სამეურნეო საქმიანობებთან დაკავშირებული დეგრადაცია და დაბინძურების რისკი</u>

სოფლის მეურნეობის განვითარებამ შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ლანდშაფტების/ჰაბიტატების დეგრადაცია, მუდმივად მათი საძოვრად გამოყენების გამო. დაბინძურება მეფრინველეობისა და მეცხოველეობის, ასევე საკვების გადამამუშავებელი ქარხნების ფუნქციონირების შედეგად. სასოფლო–სამეურნეო საქმიანობებმა ასევე შესაძლოა გაზარდოს ჯილეხისა და სხვა საშიში დაავადებების რისკი (ზოოანტროპოგენური დაავადებები). მტევზეობის გავრცელებამ დამატებით, შესაძლოა გამოიწვიოს თევზების ენდემური სახეობების განადგურების რისკი, უცხო სახეობების შემოყვანისა და გავრცელების გამო.

შემარბილებელი ღონისძიებები: გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი მართვისა და მონიტორინგის სისტემები დაცული ტერიტორიებისთვისა და ბუნებრივი გარემოსთვის. ძოვების აკრძალვაზე კონტროლის გამკაცრება დაცულ ტერიტორიებზე. თანამედროვე სასაოფლო–სამეურნეო და სათევზე–მეურნეობის ტექნოლოგიების დანერგვა. გარემოსდაცვითი მართვისა და ზედამხედველობის გაუმჯობესება სასოფლო–სამეურნეო სავარგულებზე. განმახორციელებლი სააგენტოები: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო; დაცული ტერიტორიების სააგენტო; გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

- მცირე და დიდი ჰიდროელექტროსადგურების სისტემის განვითარების შედეგად კლიმატის ცვლილებისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის, ასევე ლანდშაფტებისა და ჰაბიტატების შეუქცევადი დაზიანების რისკი

რეგიონების განვითარების სტრატეგია ხელს უწყობს მცირე და დიდი ზომის ჰიდროელექტროსადგურების სისტემის განვითარებას. პოტენციური რისკები მოიცავს: 1. ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე კლიმატის ცვლილება (პირდაპირი და კუმულატიური ზემოქმედება), შემდგომი ირიბი ზემოქმედებით ნალექების რაოდენობასა და ეროზიაზე; ტენიანობის მომატება და მასთან დაკავშირებული მცენარეული საფარის შემადგენლობის ცვალებადობა; 2. ჰიდროელექტროსადგურების განვითარების შედეგად ჰიდროლოგიური რრეჟიმისა და მდინარეებისა და ხეობების ჰიდრო–ეკოლოგიური მახასიათებლების ცვლილება; 3. ჰიდროელექტროსადგურებისა და რეზერვუარების მიერ დაფარული ლანდშაფტებისა და ჰაბიტატების შეუქცევადი დაზიანება. სამწუხაროდ ზემოთ აღნიშNული რისკები ძირითადად შეფასებულია ცალკეული ჰიდროელექტროსადგურებისთვის ინდივიდუალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების

დოკუმენტებში, ხოლო კუმულატიური და ირიბი ზემოქმედებები არ არის შესაბამისად გაანალიზებული.

შემარბილებელი ღონისძიებები: ზემოთ აღნიშნული ზემოქმედებების შერბილებისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა სპეციფიური ღონისძიებები და პროცესები:

- ჰიდროელექტროსადგურებისთვის სტრატეგიული გარემოსდაცვითი ზემოქმედების შეფასების შემუშავება მთლიანი რეგიონისთვის ან სულ მცირე ერთი ობიექტისთვის. **განმახორციელებელი სააგენტოები:** გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო.
- გადაწყვეტილების მიმღებთათვის კრიტერიუმების სისტემის შემუშავება (მდინარეების ჰიდროლოგიური და ეკოლოგიური მახასიათებლების მართვისთვის საჭირო მინიმალური სანიტარული ნაკადის შეფასების მეთოდოლოგიები; მდინარეების ეკოსისტემების დეგრადაციის ეკოლოგიური ფასეულობა და მდგომარეობა; მცენარის სოციალურ–ეკონომიკური ღირებულება; ჰიდროელექტროსადგურის ღირებულება ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით). კრიტერიუმების სისტემა უნდა იყოს მისაღები შერჩეული პროექტებისთვის და მათი პრიორიტიზირებისთვის. იგი შემუშავებული უნდა იქნას კონკრეტული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ფარგლებში, ცალკეული წყლის ობიექტებისთვის ან რეგიონისთვის, ან ქვეყნისთვის შემუშავებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებითვის. განმახორციელებელი სააგენტო: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო;

ენერგიის ალტერნატიული წყაროების შესაძლებლობისა და მოცულობის შეფასება.

ბუნებრივი რესურსების არარაციონალური მოპოვებით გამოწვეული ზემოქმედება წყლისა და ტყის რესურსებზე

თითოეული საწარმოს მიერ წყლისა და ტყის რესურსების გამოყენების შედეგად განხორციელებული ზემოქმედება არის ლოკალური და შესაძლებელია მისი მართვა ინდივიდუალური ნებართვებისა და ლიცენზიების პროცედურებით, თუმცა სხვადასხვა მცირე საწარმოების მიერ არაკოორდინირებული რესურსების მოპოვებით გამოწვეული კუმულატიური ზემოქმედება გაცილებით ძლიერი და უმართავია. უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში ხეების უკონტროლო ჭრებმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა რეგიონის ტყეს. შესაბამისად, გახშირებულია მეწყერი, ზვავი, ნიადაგის ეროზია და სხვა.

შემარბილებელი ღონისძიებები:

- ტყის, მინერალური რესურსებისა დაწყლის რესურსების ინვენტარიზაცია;

- თითოეული რეგიონისთვის რესურსების მოპოვების გენერალური გეგმის ან სტრატეგიული გარემოზე ზემოქმედების შეფასების შემუშავება;

- თითოეულ საიტზე მოპოვების დასაშვები ფართობების და მოცულობიების განსაზღვრა. აუცილებელია ტყის მდგრადი მართვის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც გულისხმობს ხეებზე და ტყით დაფარულ ტერიტორიებზე მოთვალყურეობას, ისეთი მეთოდებითა და ინტენსივობით, რაც უზრუნველყოფს მათი ბიომრავალფეროვნების დავას, პროდუქტიულობას, თვითაღდგენასა და სიცოცხლისუნარიანობას, ასევე მომავალში უზრუნველყოფს მათთვის შესაბამისი გარემოსადვითი, ეკონომიკურ და სოციალურ ფუნქციების შესრულებას დღეისათვის და არ გულისხმობს მომავალში სხვა ეკოსისტემების დაზიანებას. მდგრადი ტყის მართვა გულისხმობს შემდეგს: ტყეების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორების მხარდაჭერა და გაზრდა; მათი ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონსერვაცია; მათი ეკონომიკური პოტენციალის ეფექტური გამოყენება, ტყეების გარემოსაცვითი ღირებულების გათვალისწინებით; საზოგადოების ჩართულობა ტყეების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში და სარგებელის სამართლიანი და მოიკერძოებელი განაწილება. აღმასრულებელი უწყებები: სურსათის ეროვნული სააგენტო; გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და მისი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; EPA; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

- **მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების შედეგად გამოწვეული დაბინძურების კუმულატიური ზემოქმედება**

რეგიონების განვითარების სტრატეგიების მიხედვით გარემოზე შედარებით მცირე უარყოფითი ზემოქმედების წილო მოდის დიდი ზომის საქარმოების ოპერირებაზე რეგიონში. უფრო დიდი ზემოქმედება მოსალოდნელია მრავალი, დანაწევრებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისგან (საკანალიზაციო წყლებისა და ნარჩენების არასწორი მართვის, ასევე მერქნული რესურსების უკონტროლო ჭრისა და წარმოების კუთხით), რადგან მათი უმრავლესობა იყენებს გარემოსთან არამეგობრულ ტექნოლოგიებსა და ნაკლებ ყურადღებას აქცევს გარემოს დაცვას.

შემარბილებელი ღონისძიებები: გარემოსდაცვითი მენეჯმენტისა და ზედამხედველობის სისტემების გაუმჯობესება SME–თვის. თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა. SME–თვის შესაძლებლობების გაძლიერება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიზმით (მაგ: კრედიტების, გრანტების მეშვეობით). განმახორციელებელ სააგენტოები: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის

სამინისტრო, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი; ადგილობრივი მუნიციპალიტეტები.

B. კულტურული მემკვიდრეობა

<u>ძეგლის აუთენტურობის და ისტორიული ძეგლის ღირებულების დაკარგვა არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული აღდგენითი/სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად</u>

ორივე რეგიონი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით და ამ ძეგლთაგან მრავალი მოითხოვს აღდგენა-კონსერვაციის სამუშაოებს. არც თუ დიდი ხნის წინ, საქართველომ იწვნია ამ მეტად საჭირო ინტერვენციების ტექნიკურად არასწორი დაგეგმვით და ამოცანების კონცეფტუალურად არასწორად ჩამოყალიბებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღდგენა/კონსერვაციების სამუშაოები უნდა დაიგეგმოს დიდი სიფრთხილით, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკისა და იუნესკოსათვის მისარები ტექნოლოგიების და მიდგომების გათვალისწინებით.

კულტურული მემკვიდრეობის ბევრი ძეგლი წარმოადგენს რელიგიური დანიშნულების მოქმედ ობიექტს, რომელთაც განაგებს საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია. ასეთი ობიექტების ტერიტორიაზე დამხმარე ინფრასტრუქტურის მშენებლობამ, ძეგლების რესტავრაციამ ან ტურისტების ვიზიტების ორგანიზებამ შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტები, იმ შემთხვევაში თუ ხსენებული საქმიანობა არ იქნება წინასწარ შეთანხმებული, ერთის მხრივ, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და ტურიზმის სააგენტოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილ პირებს სორის.

<u>ტურისტების მზარდი ნაკადის ნეგატიური ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე, როდესაც ნაკადის ინტენსიობა აჭარბებს „ადგილის გამტარუნარიანობას (ტევადობას)“</u>

ტურიზმის განვითარება და ტურისტული ნაკადების ზრდა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების განლაგების ადგილებში, ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიების და შესაბამისი ინვესტიციების მნიშვნელოვანი შედეგი უნდა იყოს. თითოეული ტურისტული ვიზიტების ადგილის განვითარების და აქ ტურისტული ნაკადების ზრდის სხვადასხვა ეტაპზე, არის სხვადასხვა ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს „ადგილის გამტარუნარიანობას“ . ეს

ფაქტორები არ არის ჯეროვნად გაანალიზებული და არსებობს იმის რისკი, რომ ტურისტული ნაკადების ზრდამ და „გამტარუნარიანობის“ ზღვარის გადაჭარბებამ შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე და ბუნებრივ გარემოზე და თავად ტურისტების მიერ მიღებული მომსახურების და შთაბეჭდილების ხარისხზე.

<u>კონფლიქტი ადგილობრივ ტრადიციებსა და ქცევის ნორმებთან</u>

ტურიზმის განვითარების რეგიონული სტრატეგიები გულისხმობს სარეაბილიტაციო და ინფრასტრუქტურის აღდგენით სამუსაოებს იმ ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ადგილებში, რომლებიც დასახლებული არის ადგილობრივი მოსახლეობით. ტურისტული მარშრუტებისათვის მნიშვნელოვანი მრავალი ძეგლი წარმოადგენს მოქმედ ეკლესიას, სადაც ხორციელდება რელიგიური მსახურება და სადაც, შესაძლოა, ცხოვრობენ ბერები. თუ ყველა მსგავსი ასპექტი არ არის სათანადოდ შესწავლილი და გათვალისწინებული, ტურისტების მზარდი ნაკადი და მათი არასათანადო ქცევა შესაძლოა გახდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტის მიზეზი; ძეგლების დაზიანება შეიძლება გამოიწვიოს ტურისტების ქცევის მენეჯმენტის არაეფექტურობამ (წარწერების დატოვება კედლებზე ან ფრესკების და ხატების ფოტოების გადაღებისას სინათლის იმპულსური წყაროების გამოყენება და ა.შ.)

<u>ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების წარმოების აუთენტურობის დაკარგვა კომერციალიზაციის გავლენით</u>

ხელნაკეთი ნივთების წარმოების ტრადიციულმა მეთოდებმა და თავად ნივთებმა შეიძლება დაკარგონ აუთენტური და კუთხისათვის სპეციფიური სახე, ისევე როგორც ტრადიციული კერძები შესაძლოა ჩაანაცვლოს კომერციულმა კულინარულმა ნაწარმმა, რის შედეგადაც დაიკარგება შემოთავაზებული პროდუქციის და მომსახურების სპეციფიური, აუთენტური ფორმები.

C. სოციალური ზემოქმედება

მოსახლეობის ჭარბი მიგრაცია რაიონებიდან

ინვესტიციებმა, რომლებიც გამიზნულია სამიზენე რეგიონების ცალკეული რაიონების განვითარებაზე, შესაძლოა ვერ მოუიტანოს მოსახლეობას სარგებლის საკმარისი დონე და ვერ უზრუნველჰყოს მოსახლეობის ადგილზე დამაგრება მკვეთრად გამოხატული ურბანიზაციი ტენდენციის პირობებში.

<u>სარგებლის არათანაბარი განაწილება</u>

სტრატეგიული მიზნების მიღწევა სამიზნე რეგიონებში ვერ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ მიღებული სარგებელი თანაბრად და სამართლიანად განაწილდება მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მიხედვით. განსხვავებები სხვადასხვა რაიონებს შორის თითოეული სამიზნე რეგიონის ფარფგლებში გამოიწვევს იმას, რომ ინვესტიციების მეტი წილი მიმართული იქნება იმ რაიონებში სადაც მეტი არის ბუნებრივი თუ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტურისტულ სანახაობათა რაოდენობა და ტურიზმის სფეროში მომსახურების გამოცდილების მქონე პერსონალი. სასოფლო-სამეურნეო წარმოებათა გამსხვილებამ, რაც თავისთავად დადებით ტენდენციად არის შეფასებული, შესაძლოა გამოიწვიოს იმკერძო პირების სოციალური მდგომარეობის გაუარესება, ვინც გაყიდის თავის მცირე მიწის ნაკვეთს, მაგრამ ვერ შეძლებს უზრუნველჰყოს სამსახურის ან შემოსავლის სხვა წყაროს მიღება.

<u>ეთნიკური დაძაბულობა საინვესტიციო გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით</u>

მიუხედავად იმისა, რომ რეგიონების განვითარების სტარტეგიები, ისევე როგორც ტურიზმის რეგიონული განვითარების სტრატეგიები გამორიცხავს ყოვეგვარი დისკრიმინაციის შესაძლებლობას, არ არის გამორიცხული რომ ამ სტრატეგიების ფარგლებში მოაზრებული ცალკეული საინვესტიციო პროექტის განხორციელებამ გამოიწვიოს ეთნიკური დაძაბულობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. ეთნიკური უმცირესობების დაბალი ინტეგრირებულობის და ქართული ენის არცოდნის პირობებში, საჭირო არის სპეციალური ძალისხმევა ადგლობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის და მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად, რათა გამოირიცხოს კონფლიქტური სიტუაციები გამოწვეული გაუგებრობის და/ან არაინფორმირებულობის ნიადაგზე და ბენეფიტების არათანაბარი განაწილებით.

4. RDS და RTDS-ს განხორციელების მოსალოდნელი დადებითი ზემოქმედება

A. სოციალური

RDS-სა და RTDS სტრატეგიების განხორციელება, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედებს სიღარიბისა და სოციალური პრობლემების გადაჭრაზე. სიღარიბე საქართველოში ასოცირდება ოჯახის უფროსის უმუშევრობასთან, და მოსალოდნელია, რომ სწორედ ტურიზმის მხარდაჭერა გამოიწვევს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და დასაქმების უზრუნველყოფა კი, სავარაუდოდ, სარგებლობას მოუტანს მცხეთა-მთიანეთისა და

სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობას (როგორ ქალებს, ასევე მამაკაცებს). დასაქმება მშენებლობის სფეროში, ძირითადად, უფრო მეტ სარგებელს მოუტანს მამაკაცებს, რამდენადაც ისინი ამგვარი სამუშაოს მიმართ უფრო მეტ ინტერეს იჩენენ და აქვთ მეტი უნარი მშენებლობის დარგში. დასაქმება ტურიზმის სფეროში კი, როგორც მოსალოდნელია, უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს. ზოგიერთი სამუშაო ტურისტული ინდუსტრიის სფეროში, სავარაუდოდ, ქალებისათვის უფრო მეტდ მისაღებია, ხოლო სხვა სამუშაო ადგილები იმავე დარგში უფრო მეტად მამაკაცებისთვისაა შესაბამისი. (მაგ, მძღოლების დასაქმება). სამცხე-ჯავახეთში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ეთნიკური უმცირესობა შეადგენს, დაგეგმილია ასევე ქართული ენის სწავლება, რაც შედარებით არათანაზომიერ სარგებელს მოუტანს ეთნიკური უმცირესობის ქალ-წარმომადგენლებს. ბავშვთა მოვლა და მათზე ზრუნვა უზრუნველყოფილი იქნება იმგვარად, რომ ქალებს საშუალება ჰქონდეთ უნარ-ჩვევების ტრენინგებში მონაწილეობის მიღებისა.

მოცემული პროექტის ფარგლებში შექმნილი ახალი სამუშაო ადგილები და დასაქმების სფეროები, სავარაუდოდ, ასევე მოუტანს სარგებელს სხვადასხვა შემოსავლის მქონე ადამიანებს. მოსალოდნელია, რომ შედარებით დიდი საწარმოები მიიღებენ შესაბამის მოგებას, რაც, თავის მხრივ, ახალი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფს სხვადასხვა უნარ-ჩვევებისა და მომზადების განსხვავებული დონის მქონე ადამიანებს. სავარაუდოდ, ასევე გაფართოვდება მცირე და საშუალო ბიზნესი და ზოგიერთი მიკრო-საწარმოები, გაიზრდება მათი მოგებაც. ყველა კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების მქონე ადამიანი მიიღებს დასაქმების უფრო ფართო შესაძლებლობას. RDS უზრუნველყოფს უფრო ფართო ინფრასტრუქტურულ განვითარებას მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებისათვის. უკეთესი ინფრასტრუქტურა, სავარაუდოდ, გამოიწვევს არა მარტო ინფრასტრუქტურის, არამედ სხვა სექტორების ინვესტირებასაც, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ინფრასრტუქტურის განვითარებისათვის და უზრუნველყოფს უკეთეს საერთო მომსახურებას მოქალაქეებისათვის მოცემულ რეგიონებში. უკეთესი წყალმომარაგება და სანიტარული პირობები, როგორც მოსალოდნელია, ყველას მოუტანს სარგებელს. რეგიონის მთელი მოსახლეობა, მიუხდევად სქესისა, ასაკისა და შემოსავლის დონისა ისარგებლებს გაუმჯობესებული გზებითა და ქალაქების აღდგენილი ცენტრებით.

B. გარემო

მიუხედავად სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონში არსებული ზემოთ აღნიშნული გამოწვევებისა მდგრადი რეგიონული განვითარების სფეროში, RDS-სა

და RTDS-ს პროექტების განხორციელება, სავარაუდოდ, მიგვიყვანს გარემოზე ზემოქმედების მთელ რიგ დადებით შედეგებამდე. აღნიშნულ პოზიტიურ შედეგებს, როგორც მოსალოდნელია, გამოიწვევს ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გაუმჯობესებული მართვა, სტიქიური მოვლენებისა და მათი დამანგრეველი ზემოქმედების წინააღმდეგ შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და გარემოს ხარისხის საკვანძო პარამეტრების მოიტორინგის უფრო სრულყოფილი სისტემის შექმნა.

C. მატერიალური კულტურული რესურსები

RTDS კულტურულ ტურიზმს ასახელებს იმ სამ ჯგუფს შორის, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება მოცემულ ორ სამიზნე რეგიონში მნახველთა მეტი რაოდენობის მოზიდვის გაზრდაში. RTDS მიზნად ისახავს კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ხელმისაწვდომობისა და წვდომის გაუმჯობესებას, მათ მიმდებარე ტერიტორიებზე საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციასა და დაზიანებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გამაგრება-აღდგენითი სამუშაოების უზრუნველყოფას. შესაბამისი მეთოდოლოგიისა და ტექნიკის გამოყენებით, ზემოაღნიშნული ღონისძიებები სათანადო დამსახურებულ დადებით შედეგებს უზრუნველყოფს სამიზნე რეგიონების მატერიალურ-კულტურული რესურსებისათვის.

6. მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული RDP III პროექტი უზრუნველყოფს შერჩევით მხარდაჭერას მთავრობის ინდივიდუალური სტრატეგიული მიზნების მისაღწევად მცხეთა-მთიანეთისა და სამცხე-ჯავახეთს რეგიონებში. RDP III-ის განხორციელების შედეგად ბუნებრივ და სოციალურ გარემოსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების რისკები მერყეობს მცირედან საშუალომდე, პროექტს კი მინიჭებული აქვს გარემოდაცვითი B კატეგორიის პროექტის კლასიფიკაცია. თუმცა, SECHSA-მ ყურადრებით შეისწავლა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს RDS-ს, RTDS-სა და RDP III-ის რისკების აკუმულირება გრძელვადიან პერსპექტივაში და რა ტიპის ინდუცირებული განვითარება შეიძლება მოჰყვეს შედეგად მოცემული პროექტების განხორციელებას.

ინვესტირებამ RDP III-ის 1.1 ქვეკომპონენტის ფარგლებში, შესაძლოა დაამატოს გარემოს დაბინძურებას მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები, რომელიც მიიღება და დაგროვდება RDP III-ის მიერ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებისათვის

უზრუნველყოფილი ახალი ინფრასტრუქტურული ელემენტების ექსპლუატაციის შედეგად. გარემოს დაბინძურება, ლანდშაფტის გაუარესება და ადგილობრივი საზოგადოებებისათვის შექმნილი უხერხულობა-დისკომფორტი კი შესაძლოა გამოიწვიოს ახალმა საწარმოებმა და საჯარო ინფრასტრუქტურამ, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება RDP III-ის 1.2 კომპონენტის შესაბამისად. RDP-სა და RDP II-ის განხორციელების გამოცდილებზე დაყრდნობით, ახალი ინფრასტრუქტურული ელემენტების უზრუნველყოფამ მოცემულ სამიზნე დასახლებებსა და კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში, შესაძლოა მოითხოვოს მცირე მიწის ნაკვეთების წართმევა სახელმწიფო ტყის ფონდისაგან. მიუხედავად მცირე მასშტაბებისა, ზემოაღნიშნულმა ფაქტმა შესაძლოა ხელი შეუწყოს ტყის მიწების კუმულაციურ მატერიალურ გარდაქმნას, თუკი არ იქნა მიღებული გარკვეული გარემოდაცვითი ზომები. RDP III დაეხმარება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას და, ამგვარად, ხელს შეუწყობს მოცემულ ადგილებში ტურისტული მონახულების ზრდას. აღნიშნულ სფეროში მთავრობის სხვა ინვესტიციებთან ერთად, გაზრდილი ტურისტული ნაკადის კუმულაციური ზემოქმედება შესაძლოა უარყოფით გავლენად იქცეს გარკვეულ დროს მომავალში, თუკი ყველაზე პოპულარული ადგილების გამტარუნარიანობა გადააჭარბებს შესაძლებელ დონეს. RDP III-ის შემუშავებისა და განხორციელების ღონისძიებები მოიცავს შესაბამის მექანიზმებს, რათა პროექტის განხორციელებამ არ შეუქმნას დამატებითი რისკები არათანაზომიერი პერსპექტივის მქონე მოსახლეობას, რომელიც ისედაც დაუცველი და მოწყვლადია რეგიონული განვითარებისა და ეკონომიკური პოლარიზაციის გამო.

7. RDP III-სა და SECHSA-ს განხორციელების რეკომენდაციები

RDP III შემუშავდა, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის საერთო სტრატეგიული განვითარების მიზნების მიღწევას სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში იმ ღონისძიებების შერჩევითი ინვესტიციების განხორციელების გზით, რომლებიც მხარს უჭერს RDS-სა და RTDS-ის პროექტების შესრულებას.

პროექტის განვითარების მიზანს წარმოადგენს ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური პოტენციალის გაუმჯობესება, რათა ხელი შეეწყოს ტურიზმის წვლილის ზრდას სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონების ადგილობრივ ეკონომიკაში. პროექტის ღონისძიებები და აქტივობები, სავარაუდოდ, სარგებელს მოუტანს მის მოსახლეობას, ტურისტებსა და ბიზნეს-საწარმოებს სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. როგორც

მოსალოდნელია, ზემოაღნიშნული რეგიონებში უზრუნველყოფილი იქნება საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებული წვდომა და მისი უკეთესი ხარისხი; რეგიონების კერძო სექტორის ინვესტირების გაზრდილი მოცულობა; და მცირე და მიკრო საწარმოების გაფართოება-ზრდა კულტურული მემკვიდრეობის განახლებულ უბნებსა და ქალაქებში. მთავრობა გარკვეულ სარგებელს მიიღებს ტურიზმის გაზრდილი ხარჯებითა და დაკმაყოფილებით, ახალი სამუშაო ადგილების შექმნით, დაწესებულებების გაუმჯობესებული ინსტიტუციური პოტენციალითა და აქტივების ამოქმედების უფრო სრულყოფილი მოცულობით .

კომპონენტი 1: ინფრასტრუქტურული ინვესტიცია (55 მილიონი აშშ დოლარი)

კომპონენტი 1.1: ურბანული განახლება და მოქმედების სფეროების განვითარება (45 მილიონი აშშ დოლარი). მოცემული კომპონენტი უზრუნველყოფს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას: ძველი ქალაქებისა და სოფლების ურბანულ განახლებას, მათ შორის შენობათა ფასადების, საზოგადოებრივ-საჯარო სივრცეების, მუზეუმების, გზებისა და წყალმომარაგების სისტემის აღდგენას, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ძეგლებისა და ზონების გამაგრება-რეაბილიტაციას, მათი ხელმისაწვდომობისა და წარდგენის უზრუნველყოფის ჩათვლით. პროექტი ფოკუსირებული იქნება იმ სივრცის გარშემო, რომელიც აკავშირებს შერჩეულ კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ადგილებსა და სათხილამური ზონებს. შემოთავაზებული ადგილები/ქვეპროექტები შეავსებს იმ ობიექტებს, რომლის გარკვეული ინვესტიცია მთავრობამ უკვე განახორციელა. ზემოთხსენებული შესაძლებელია დაჯგუფდეს ორ კატეგორიად:

- ურბანული განახლებისათვის შემოთავაზებული სამი ქალაქის მშენებლობა მათი შედარებითი უპირატესობების გამო, როგორც კულტურული მემკვიდრეობისა და სახასიათო ეროვნული არქიტექტურული დანიშნულების უბნები: დუშეთი, ყაზბეგი და აბასთუმანი. მოცემული პროექტი დაეფუძნება მთავრობის მიერ განხორციელებულ წინა ინვესტიციებს, და მან შესაძლოა დააფინანსოს მცირემასშტაბიანი მზარდი საინვესტიციო მოთხოვნილებები მცხეთის, გუდაურის, ბაკურიანის, ბორჯომისა და ახალციხის რაიონებში. დამატებითი ინვესტიციების საჭიროება ახალქალაქში, ნინოწმინდასა და ხევსურეთში ძალზე დეტალურად იქნება შესწავლილი მათი მომზადების პერიოდში, დაგეგმილი ტურიზმის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში თითოეული რეგიონისათვის.
- შემოთავაზებულია კულტურული მემკვიდრეობის ცხრა ობიექტი მათი მართვის გაუმჯობესების, ტურისტული ობიეტების მშენებლობისა და გზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ესენია: საფარის მონასტერი, საროს ეკლესია და დარბაზები, ზარზმის მონასტერი, ვანის ქვაბები, ხერთვისის ციხე, ახალქალაქის ციხე, ანანურის ციხე და გერგეტის სამების ეკლესია.

კომპონენტი 1.2: საჯარო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა კერძო ინვესტიციების მოსაზიდად (10 მილიონი აშშ დოლარი). რეგიონში კერძო სექტორის ინვესტიციების ხელშეწყობა, მოცემული პროექტის ფარგლებში, ეს კომპონენტი ხელს შეუწყობს იმ კერძო სექტორის სუბიეტების შერჩეული რაოდენობის განვითარებას, რომლებიც ნათლად ამჟღავნებენ ტურიზმის ან აგრობიზნესის სფეროში ინვესტირების ინტერესსა და უნარ-შესაძლებლობებს იმ დამატებითი საჯარო ინფრასტრუქტურის ინვესტირების გზით, რომელიც აუცილებელია მათი ინვესტიციების სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად (მაგ., საჯარო ობიეტები ინვესტიციების სიახლოვეს, გზები / ტროტუარები, წყალმომარაგება/ სანიტარული პირობები, კომუნიკაციები, ძირითად სატვირთო მაგისტრალებთან დაკავშირება და სხვა). საინვესტიციო შემოთავაზებები დაექვემდებარება გადარჩევას, რომელსაც განახორციელებს სპეციალური შესარჩევი კომიტეტი, და მოცემულ შემოთავაზებებს თან დაერთვება მათთან დაკავშირებული შესაბამისი პირობები.

კომპონენტი 2: ინსტიტუციური განვითარება (5 მილიონი აშშ დოლარი).
მოცემული კომპონენტი ხელს შეუწყობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის (GNTA), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს (NACHP), ეროვნული მუზეუმის, პროექტების განხორციელების სააგენტოს (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, MDF), და სხვა ადგილობრივი თუ რეგიონული სუბიექტების ინსტიტუციური პოტენციალის განვითარებასა და ფუნქციონირებას, იმისათვის, რომ მათ საშუალება ჰქონდეთ განახორციელონ შემდეგი ქვემოთ ჩამოთვლილი საქმიანობა: თითოეულ რეგიონში შეიქმნას ობიექტის მართვის შესაბამისი ოფისი; უზრუნველყოფილ იქნას მარკეტინგი და განვითარება-წინსვლა; მომზადდეს ობიექტის მდგრადი მართვის გეგმა პროექტის ყველა კულტურული მემკვიდრეობის უბნებისათვის; გადამზადდეს კადრები კვალიფიციური პერსონალის მისაღებად და მათი პოტენციალის ზრდის უზრუნველსაყოფად; შეიქმნას კულტურული მემკვიდრეობის საკონსულტაციო მომსახურება კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული დაცვის სააგენტოსათვის (NACHP) მისი დაცვისა და მართვის პოტენციალის გასაუმჯობესებლად მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის ქონების - მცხეთის ისტორიული ძეგლების საშიშროების ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ჩამონათვალიდან შესაძლო ამოღების თავიდან აცილების მიზნით; ტურიზმისათვის ბიზნესის დაწყების/გაფართოება-განვითარების საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის; ობიექტის ექსპლუატაციის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება; და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების კვლევის, დაგეგმვისა და მშენებლობის ზედამხედველობის განხორციელება.

<u>იძულებითი განსახლებისა და უკმაყოფილების დაძლევა</u>

RDP III იძლევა საშუალებას, რათა ამოქმედდეს მსოფლიო ბანკის საგარანტიო დაცვითი პოლიტიკის მექანიზმები იძულებით განსახლებასთან დაკავშირებით OP

4.12 -ის თანახმად. განსახლების ზემოქმედების შედეგები, ძირითადად უკავშირდება ადგილსამყოფელის დროებით შეცვლას და/ ან შემოსავლის ან საწარმოო აქტივების დაკარგვას მშენებლობის პერიოდში. თუმცა, არსებობს ასევე მუდმივი გადასახლების შემთხვევები. განსახლების პოლიტიკა შემუშავდა და გასაჯაროვდა საზოგადოებისათვის, მოცემული პოლიტიკის დებულებების შესაბამისად, ხოლო მისი ძირითადი სოცილური შეფასება განხორციელდა სამიზნე რეგიონებში. მოცემული სოციალური შეფასება სრულად მოიცავს განსახლების ღონისძიებებს. კერძოდ, პროექტის გამო დაზარალებული მოსახლეობის კონსულტაციები ჩატარდება პროექტის განხორციელების ყველა ხელმისაწვდომ ადგილებში, სათანადო ფორმით და პროექტში ჩართული ჯგუფებისათვის შესაბამის ენაზე, ხოლო ამ შეხვედრების შედეგები გასაჯაროვდება. ინფორმაცია პროექტში ჩართული და მის გამო დაზარალებული მოსახლეობის შესახებ შეგროვდება ისე, რომ შესაძლებელი გახდეს კონკრეტული მოწყვლადობისა და სირთულის იდენტიფიცირება, რომელმაც გარკვეული სირთულე შეუქმნა კონკრეტულ პირს ან მისი ოჯახის წევრს პროექტით გამოწვეული ზემოქმედების შედეგებსა და პრობლემებთან გამკლავებასთან დაკავშირებით. სქესი, შეზღუდული შესაძლებლობა და ქმედითუუნარობა, შემოსავალი, განათლება და ასაკი გათვალისწინებული იქნება კონკრეტული ინდივიდუალური მოწყვლადობისა და პრობლემის განსაზღვრისას. მცხეთა-მთიანეთში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მთის მოსახლეობას.

განსახლება-გადასახლების ღონისძიებები უნდა მოიცავდეს საარსებო საშუალებების აღდგენის შესაძლებლობებს. რამდენადაც ეს შესაძლებელია, მოცემული პროექტით დაზარალებული ადამიანები უნდა ჩართონ პროექტის ფარგლებში დაფინანსებული უნარ-ჩვევების განვითარების აქტივობებში. თუ ეს არ არის შესაძლებელი, პროექტი შეეცდება ჩართოს დაზარალებული მოსახლეობა სხვა სახელმწიფოს ან დონორების მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართულია უნარ-ჩვევების ხელშეწყობის, შემოსავლების შექმნისა ან ფინანსური საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისაკენ. თუკი არ მოიძებნა სხვა სახის საქმიანობა, რომელიც შესაბამისი იქნება ამ კატეგორიის მოსახლეობისათვის, RDP III უზრუნველყოფს ამ პირების დაფინანსებას მათ მიერ მცირე ბიზნესის დასაწყებად, უნარ-ჩვევების შესაძენად ან სხვა საარსებო საშალებების გაზრდა-გაძლიერების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში. RDP III განსაკუთრებით გაამახვილებს ყურადღებას საარსებო საშუალებების აღდგენისაკენ მიმართულ საქმიანობაზე ქალებისათვის ან პენსიონერებისათვის იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებულ ორ ჯგუფს, როგორც ჩანს, უფრო მეტად გაუჭირდება საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად განსხვავებულ საქმიანობაში ჩართვა.

განსახლებისა და მიწების შეძენის მონიტორინგი და შეფასება სისტემატურად უნდა განხორციელდეს. გადასახლებულ პირებსა და მათი ოჯახის წევრებზე, ასევე საარსებო საშუალებების აღდგენის მხარდამჭერ ღონისძიებებში ჩართულ მოსახლეობაზე განსახლების ზემოქმედების შედეგების მონიტორინგი უნდა ჩატარდეს განსახლების სამოქმედო გეგმის ადგილსამყოფელის სპეციფიურობის მიხედვით ჩატარებული ღონისძიებების განხორციელებისთანავე დაუყოვნებლივ, და განსახლების დროიდან ასევე 6 და 12 თვის გასვლის შემდეგ. თუკი განსახლებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ, ნეგატიური შედეგები, როგორსაც წარმოადგენს შემოსავლის შემცირება, დაფიქსირდა, აუცილებელია უზრუნველყოფილი იქნას ამგვარი პირების დამატებითი დახმარება.

<u>TA-ს გაერთიანება ტურიზმისა და აგრობიზნესის მცირე და საშუალო ბიზნესის ეფექტიანობის ამაღლების მხარდასაჭერად</u>

RDP III-ში ჩართული TA-ს ზემოქმედების მაქსიმალიზაციისათვის, შესაძლოა იმ მსგავსი ღონისძიებებისა და ძალისხმევების გაერთიანება, რომელიც დაგეგმილია მსოფლიო ბანკის მიერ მხარდაჭერილი RDP, RDP II, და RDP III-ის პროექტების ფარგლებში. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის სექტორებში უნდა განხორციელდეს მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან, რომელიც ხელმძღვანელობს მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას. პარტნიორობა უნდა ვეძებოთ სხვა დონორთა მიერ დაფინანსებულ ღონისძიებებთან, რომლებიც მიზნად ისახავენ ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი TA უნდა მოიცავდეს ცოდნისა და ინფორმაციის გავრცელებას ხელმისაწვდომი დაბალი ემისიის (გაფრქვევის) მქონე ტექნოლოგიებისა და ზოგადად გამწვანების/მწვანე საფარის განვითარების შესახებ, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებას მათ მიერ ამ ტექნოლოგიების შესაძენად და გამოსაყენებლად.

<u>კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა ობიექტების შერჩევასა და იმ ღონისძიებების შემუშავებაში, რომლებიც განხორციელდება მოცემულ ობიექტებსა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების მიმდებარე ტერიტორიის ფარგლებში</u>

RDP III-ის კომპონენტი 2 დააფინანსებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის რამდენიმე ობიექტისა და ტურიზმის მართვის დაწესებულებების თანამშრომლების ტრეინინგებსა და მათი უნარ-ჩვევების პოტენციალის განვითარებას. RDP და RDP II პროექტების გამოცდილებიდან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანი იქნება

კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოების ჩართვა პროექტით მატერიალური კულტურულ რესურსებისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების განხილვის, შემუშავება-დაგეგმვის და განხორციელების ყველა სტადიაზე. ეკლესია ასევე უნდა ჩაერთოს და განახორციელოს კონსულტირება RDP III-ის მიერ დაფინანსებული სამუშაოების წარმართვის შემთხვევაში თვითონ ღვთისმსახურების ან თაყვანისცემის ობიექტზე თუ მის გარშემო. ძალზე მიზანშეწონილი იქნება კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ინსტიტუციების (ICOMOS, UNESCO) რჩევები და რეკომენდაციები, როდესაც საქმე ეხება განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებს. საქართველოს კულტურის სამინისტროს წევრობა შემსრულებელი სუბიექტის - RDP III-ის -საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის სამეთვალყურეო საბჭოში უზრუნველყოფს პოლიტიკურ კონსენსუსს იმ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც დაკავშირებულია პროექტის ინვესტიციებთან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის კონსერვაციისა და გამოყენების შესახებ.

<u>საჯარო ინფრასტრუქტურაზე საკუთრებისა და მომხმარებელთა უფლებების განმატრება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ადგილმდებარეობის გარშემო</u>

საჯარო ინფრასტრუქტურის ელემენტები, რომელსაც ინვესტირების ნაწილის სახით უზუნველყოფს RDP III პროექტი, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ტერიტორიის მოდერნიზაციისათვის, შენდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწაზე. შესაძლოა საჭირო გახდეს ამგვარი მიწის ნაკვეთების მოხმარების უფლება გადაეცეს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს მშენებლობის პერიოდში, ხოლო შემდგომ კი იმ სუბიექტს, რომელიც აამოქმედებს ინფრასტრუქტურას. მუნიციპალიტეტს, კერძო კომპანიას ან ეკლესიას შესაძლოა გადაეცეს არსებული ობიექტის ამუშავების/ ექსპლუატაციის უფლებამოსილების მანდატი. ყველა შეთანხმებები, რომელიც დაკავშირებულია მიწის მფლობელობის უფლებასა და მომხმარებლის უფლებასთან, ისევე როგორც ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციისა და შენახვის მოდალობასთან უნდა გახორციელდეს დროულად. ექსპლუატაციის განმახორციელებელ ფიზიკურ პირებს შეიძლება დასჭრდეთ გარკვეული მიმართულების მიცემა და მომზადება (ტრეინინგი) მათი ამოცანების კონკრეტული ასპექტების განხორციელებაში.

8. ინფორმაციის გასაჯაროება და გავრცელება

SECHSA ჩატარდა სამცხე-ჯავახეთისა და მცხეთა-მთიანეთის RDS და RTDS სტრატეგიების კამერალური ანალიზის საფუძველზე. დისკუსიები ფოკუს-ჯგუფებთან, რომელთა შემადგენლობაშიც შევლენ ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები, უმცირესობების წარმომადგენლები და ინტერესთა ჯგუფები გაიმართება SECHSA მოხსენებითი ანგარიშის დასრულებამდე. რეგიონული სტრატეგიები და RDP III-ის ფარგლებში შემოთავაზებული გარემოსდაცვითი, სოციალური და კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შედეგები უკვე განხილულ იქნა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის ადმინისტრაციისა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით. კონსულტაციის პროცესის ამ ადრეულ სტადიაზე გაირკვა, რომ RDP III რესურსებზე მოთხოვნა გაცილებით დიდია იმაზე, ვიდრე მოცემულმა პროექტმა შეიძლება დააფინანსოს სამიზნე რეგიონებში. ამდენად, საინვესტიციო შემოთავაზებების მიღების, განხილვისა და დამტკიცების პროცესის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება უკიდურესად მნიშვნელოვანი გახდება მოცემული პროექტის განხორციელების მთელს მანძილზე.

SECHSA ანგარიშის წინამდებარე რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე საჯაროდ გამოქვეყნდება ცენტრალურ დონეზე და ორი სამიზნე რეგიონში, ხოლო საკონსულტაციო შეხვედრები გაიმართება რეგიონულ ცენტრებში. რეზიუმეს გამოქვეყნების მიზანი არის პრობლემატური საკითხების საწყისი წრის იდენტიფიცირება შინაარსობრივი კონსულტაციების დასაწყებად დაინტერესებულ მხარეებთან. რეზიუმეს ელექტრონული ვერსია გამოქვეყნდება მგფ-ს ვებ-გვერდზე, ხოლო ნაბეჭდი ვერსიები ხელმისაწვდომი იქნება მცხეთაში და ახალციხეში სამიზნე რეგიონებში სახელმწიფო რწმუნებულების (გუბერნატორების) ოფისებში.

რეზიუმეში გამოკვეთილი პრობლემატური საკითხების განხილვა მოხდება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროების, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ეროვნული ტურისტული სააგენტოს, ეროვნული სატყეო სააგენტოს და დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და რეგიონული და მუნიციპალური ხელისუფლების მონაწილეობით. ქვეყანაში მოქმედი აქტიური საკვანძო არასამთავრობო ორგანიზაციების და სამიზნე რეგიონებში მოქმედ დაინტერესებულ პირთა და მხარეთა კომენტარები ასევე მნიშვნელოვანი იქნება საბოლოო დოკუმენტის ჩამოყალიბებისათვის.

რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებასთან შეხვედრები დაგეგმილია 2015 წლის 18 თებერვალს მცხეთა-მთიანეთის რეგიონის წარმომადგენლებთან ქ.დუშეთში ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის წარმომადგენლებთან ქ.ახალციხეში. ამ შეხვედრებში მონაწილეობას მიიღებენ რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ისევე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინტერესებული პირები. რეზიუმეს ნაბეჭდი ვერსიები გავრცელებულ იქნება ამ შეხვედრებზე, ხოლო დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები დაფიქსირებულ იქნება შეხვედრის ოქმებში, რათა ყველა პრობლემური საკითხი მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული SECHSA ანგარიშის საბოლოო ვარიანტის მომზადებისას.

2015 წლის 20-დან 28 თებერვლამდე პერიოდი გამოყენებულ იქნება საკონსულტაციო შეხვედრებისათვის სამინისტროებთან, სააგენტოებთან და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უფლებამოსილ წარმომადგენლებთან. წერილობითი კომენტარები იქნება მიღებული ხსენებული ორგანიზაციებიდან, რათა მაქსიმალურად სრულად იქნას გათვალისწინებული მათი რეკომენდაციები.

SECHSA ანგარიშის საწყისი ვარიანტი გავრცელებულ იქნება ხსენებულ ორგანიზაციებში და მათგან მიღებული შენიშვნები ასახული იქნება ანგარიშის საბოლოო ვერსიაში.